2025 წლის 07 ივნისი
ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტს

ასლი: განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტროს

ასლი: საჯარო სამართლის იურიდიულ პირს –
შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს

[redacted]-ში მცხოვრები
ზურაბ ვანიშვილის [redacted]

საკანონმდებლო წინადადება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის თანახმად, გთავაზობთ, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 2, 10.01.2005, მუხ. 4), შევიდეს დამატებები, რომლებითაც განისაზღვრება ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამის შესაბამისად – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – **ცენტრი**) მიერ ტესტური დავალებებისა და პასუხების ფურცლის შედგენი წესი, ვინაიდან არსებული რეგულაციებით, არ არის გათვალისწინებული, რომ:

"ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტის დავალებების შექმნისას გარკვეულ შემთხვევებში ხდება **ისტორიული წყაროს ტექსტის ადაპტაცია** აბიტურიენტებისათვის წყაროს გააზრებისა და ანალიზის უნარების შემოწმების მიზნით".

ისტორიული წყაროს ადაპტაციის უფლებამოსილების არარსებობა ხელს უშლის აბიტურიენტებისათვის წყაროს გააზრებისა და ანალიზის უნარების შემოწმების პროცესს და თვით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოებულ საქმიანობას.

ასე, მაგალითად, 1634 წელს ქ. გორში - იმდროინდელი ქართლის სამეფოს დედაქალაქში - მომხდარი ერთ-ერთი ისტორიულ ფაქტი - თეათინელთა კონგრეგაციის პრეფექტურის ბერთა გურიაში გამგზავრება ისტორიულ წყაროებში და 2024 წლის ისტორიის ეროვნულ საგამოცდო ტესტებში სხვადასხვანაირად არის აღწერილი:

1)

"როსტომმა, თავისიანების შეგულიანებით, დადიანს მოსთხოვა ცოლად მისი და მარიამ, სიმონ, გურიელის ქვრივი. მოციქულად, სხვა 1634 წელსა.

დადიანმა **თუ ცემით, თუ მუქარით** და თუ მოტყვილებით, როგორც იყო, დაიყოლია თავისი და, როსტომ ხანს მისთხოვებოდა. მალე (მას თან გამოჰყვნენ სამეგრელოდგან და გურიიდგან წარჩინებულნი და ეგრეთვე ეპისკოპოსნიც.

პირველად მოვიდენ გორსა. გურიელის მოწინავე პირთ სამეგრელოში გაეცნოთ ლამბერტი და ჯუდიჩი და აქ რომ პატრები დაინახეს,

ბევრი ეხვეწნენ პატრი ავიტაბილეს,

ერთი-ორი მათგანი გურიაშიაც წამოვიდენ, იქ ძრიელ კარგად იქნებიან მიღებულნიო.

მათ ხვეწნაზედ ავიტაბილემ

უარი ვეღარ უთხრა ·და 1634 წელს გააყოლა თან პატრი ქრისტეფორე კასტელი და პატრი ანტონ ჯარდინა და ძმა ქლაუდიო.

წყარო: "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე". ავტორი: მ. თამარაშვილი; 1902 წ.; ფ. 129

https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/106028
==========

2)

ამავე მოვლენას, 1638 წელს თეატინელთა კონგრეგაციის გენერლის სახელზე დაწერილ წერილში, პატრი ავიტაბილე შემდეგნაირად აღწერს:

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-1385/25
09.06.2025 წ. ფურც. 6

"ღვთის შემწეობით მოხერხებულად მოვეწყვეთ.

ათი პიასტრის მოწყალება გაიღო ნიკოლოზ ანუ ნიკიფორე ქართველმა ბერმა.

ოდიშში ზემოდასახელებულ ნიკიფორეს უნდა გაჰყოლოდნენ პატრი ჯუდიჩე და ლამბერტი."

წყარო: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/320671/5/Cnobebi_Saqartveloze_XVIIs_1977_Gateqstebuli.pdf
==========

3)

ლამბერტი, თავის მხრივ, წმინდა კოლხეთში, ამავე ეპიზოდს ასე აღწერს:

"ამრიგად, დადიანმა გზა გახსნა და როსტომ მეფეს გაუგზავნა საცოლე დიდებულებისა და სასულიერო პირთა ამალით, რომელთა შორის იყო სასულიერო პირთა შორის წმინდანად აღიარებული შემოქმედელი ეპისკოპოსი [5]. მან თავის თავზე იდო საპატარძლო წაყვანა. მალაქიას [6] სიკვდილის შემდეგ პატრიარქი შემოქმედელი ეპისკოპოსი უნდა გამხდარიყო. მისი ადგილი შემოსავლიანიც იყო. მან თბილისამდე მიაცილა საპატარძლო, შემდეგ გორში ჩამოვიდა, სადაც ჩვენი ცხოვრების წესები შეისწავლა. იგი კარგად გვაკვირდებოდა და იმდენად შეგვიყვარა, რომ მამა დონ პიეტროს სთხოვა, მიეცა მისთვის ორი მისიონერი გურიაში წასაყვანად. დონ პიეტროს სწორედ ეს უნდოდა და სწრაფად აუსრულა სურვილი. მან გურიაში გასაგზავნად აარჩია დონ ანტონიო ჯარდინო, დონ ქრისტეფორო კასტელი და მორჩილი ძმა კლაუდიო."

[55] ამ ხანებში შემოქმედელი ეპისკოპოსი იყო მაქსიმე მაჭუტაძე. მისი მფარველობით სარგებლობდნენ გურიაში მოღვაწე მისიონერები. 1639-1657 წლებში იგი იყო დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც.

[56] მალაქია II, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1616-1639 წლებში, გურიის მთავრის, გიორგი II გურიელის ძე. ითავსებდა ცაიშ-ჯუმათელ-ხონელობასაც. მას შემდეგ, რაც ლევან II-მ 1625 წ. სიმონი დაამარცხა, მას გურიელობა ჩამოართვა და გადასცა მისევე ბიძას, კათოლიკოს მალაქიას, რომელიც ამის შემდეგ იმავდროულად გურიაში მთავრობდა გარდაცვალებამდე, 1639 წლამდე.

წყარო: https://ijhei.wordpress.com/wp-content/uploads/2014/11/krebuli-12-13.pdf

ფ. 239
==========

4)

ლამბერტი, წმინდა კოლხეთი"-ს **2020** წელს გამოცემული ტექსტით (ფ. 275) , ამავე ეპიზოდს ასე აღწერს:

"ამგვარად, დადიანს გზა გაეხსნა და გაუგზავნა როსტომ-ხანს თავისი და. თან დიდგვაროვნებისა და მღვდელმთავრების ამალაც გააყოლა. მათ შორის უპირველესი გახლდათ გურიის შემოქმედელი ეპისკოპოსი, რომელიც ყველაზე წმინდა და სულიერ პიროვნებად მიიჩნეოდა. სწორედ მას დაავალეს ეს უღირსი საქმე - ქრისტიანი ქალის ურჯულოსთვის მიცემა, მით უმეტეს, რომ ქალის ქმარი ცოცხალი იყო, რომელსაც მოგვიანებით, მალაქიას სიკვდილის შემდეგ, საზღაურის სახით, პატრიარქობა უბოძეს. ხსენებულმა მღვდელმთავარმა ქალი თბილისში ჩაიყვანა, რის შემდეგაც გორს ეწვია, სადაც კარგად გაეცნო ჩვენი ცხოვრების წესს და ისე დაგვიმეგობრდა, რომ მამა დონ პიეტროს სთხოვა, მისთვის ორი ჩვენგანი გაეყოლებინა. მამა დონ პიეტროსაც მეტი რა უნდოდა - მისი მთავარი საფიქრალი ხომ მისიის ყოველი მხრით განვრცობა იყო. ამიტომაც მყისვე დააკმაყოფილა მღვდელმთავრის თხოვნა და გადასცა მას მამა დონ ანტონიო ჯარდინო, დონ კრისტეფორო კასტელი და ძმა კლაუდიო. მღვდელმთავარმა - ეს რა განძი ვიშოვეო - სამივე გურიაში წაიყვანა, სადაც მათ საცხოვრებლად თავის ერთ-ერთი საუკეთესო სასახლე გამოუყო და თავისი ხარჯით ხის ეკლესიაც ააგო, სადაც ჩვენს მამებს შეეძლოთ ეწირათ, ემსახურათ და ელოცათ. მათი ეკლესია ისეთი ლამაზი ნივთებით, სურათებითა და მორთულობებით დაამშვენეს, რომ მოწესრიგებული ეკლესიის უნახავი ბარბაროსები პირდაფჩენილი შესქეროდნენ - უამრავი ხალხი მოდიოდა მის სანახავად."
==========

5)

"ცენტრი"-ს მიერ აშკარად **თვითნებურად** **"ადაპტირებული"** 2024 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო ტესტის თანახმად, ლამბერტი, წმინდა კოლხეთში" ასე წერს:

"დადიანს გზა გაეხსნა და გაუგზავნა როსტომ-ხანს თავისი და. თან დიდგვაროვნებისა და მღვდელმთავრების ამალაც გააყოლა. მათ შორის უპირველესი გახლდათ გურიის შემოქმედელი ეპისკოპოსი, რომელიც ყველაზე წმინდა და სულიერ პიროვნებად მიიჩნეოდა. სწორედ მას დაავალეს ეს უღირსი საქმე - ქრისტიანი ქალის ურჯულოსთვის მიცემა, მით უმეტეს, რომ ქალის ქმარი ცოცხალი იყო. ხსენებულმა მღვდელმთავარმა ქალი თბილისში ჩაიყვანა, რის შემდეგაც **გორს ეწვია, სადაც კარგად გაეცნო ჩვენი ცხოვრების წესს და**

ისე დაგვიმეგობრდა, რომ მამა დონ პიეტროს სთხოვა, მისთვის ორი ჩვენგანი გაეყოლებინა. მთავარი საფიქრალი ხომ საქმიანობის ყოველი მხრით განვრცობა იყო. ამიტომაც დააკმაყოფილა თხოვნა. მღვდელმთავარმა მამები გურიაში წაიყვანა, სადაც საცხოვრებლად თავისი ერთ-ერთი საუკეთესო სასახლე დაუთმო."

წყარო: https://naec.ge/uploads/postData/20-24/აბიტურიენტები%202024%20-%20ტესტები/ისტორია/ისტორია%202.pdf

სსიპ "გამოცდების ეროვნული ცენტრი" განმარტავს, რომ "ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტის დავალებების შექმნისას გარკვეულ შემთხვევებში ხდება ისტორიული წყაროს ტექსტის ადაპტაცია აბიტურიენტებისათვის წყაროს გააზრებისა და ანალიზის უნარების შემოწმების მიზნით".

6)

ქართველთა "ბარბაროსობის" შესახებ ლამბერტი ცალსახად და ვრცლად საუბრობს "წმინდა კოლხეთ"-ში, რომელიც სსიპ "გამოცდების ეროვნული ცენტრი"-ს 2025 წლის 05 ივნისის MES 3 25 0000626980 წერილის თანახმად, "წარმოადგენს ისტორიულ წყაროს":

(1) "ბარბაროს ხალხში", ფ. 266;
(2) "ბარბაროსები", ფ. 248;
(3) "უმეთაურო და უმუხრუჭო ბარბაროსები", ფ. 232;
(4) "დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს ყველაზე ველური ერების წეს-ჩვეულებები ვერ შეედრება სისასტიკით იმას, რასაც მეგრელები სჩადიან. ვგულისხმობ პატარა და უცოდველი ბავშვების ცოცხლად და მოუნათლავად დამარხვას."
(5) "ამაში მხეცებსაც კი აჯობეს - მხეცი ხომ საკუთარ ნაშიერს არასდროს აწამებს" (ფ. 300);
6) "გურიაში უზომოდ მოდებული ბოროტება - ბავშვთა თურქებისათის მიყიდვა" (ფ. 293);
(7) "ჩვენს მიერ მონათლულ ბავშვებს მშობლები ცოცხლად მარხავდნენ"; ფ. 302.
(8) "თურმე არა მხოლოდ ჩვენ ვიყავით საჭურისები, არამედ ჩვენთან მოსულ ბავშვებსაც ვასაჭურისებდით. (ფ. 303); ეპისკოპოსი "თქვენს მოკვლას და თქვენი ქონების ხელში ჩაგდებას აპირებდა"; ფ. 266;
(9) "როსტომ ხანის დესპანები დადიანის დის სანახავად მივიდნენ. ამ ეშმაკისეული საქმის დესპანები არ გაჩერდნენ, სანამ საწადელს არ მიაღწიეს"; (ფ. 258-259);
(10) "მხარს ვუჭერდით მის მტკიცე უარს ამ მკრეხელურ ქორქინებაზე", ფ. 259;
(11) "ბარბაროსი მაინც ბარბაროსია"; ფ. 215;
(12) მეფე თეიმურაზმა "რომის საყდრისადმი სიძულვილით აღვსილმა გაბედა და თავისი ურჯულო ფეხებით გათელა პაპის გერბით მორთული სამღვდლო სამოსელი"; ფ. 230.;
(13) თეიმურაზ მეფემ "მკაცრად მოსთხოვა - ან ფული ესესხებინათ ან მისი ქვეყნიდან წასულიყვნენ", ფ. 208;
(14) "მთელი ქვეყანა მტრად გაგვიხდა და მთავარიც (დადიანი) გადაგვიდგა"; ფ. 314;
(15) "დის ურჩობამ ისე გაანაწყენა დადიანი (რომელსაც დის ხელი უკვე შეპირებული ჰქონდა როსტომისთვის), რომ დას რამდენჯერმე შემოსცხო ჯოხი"; ფ. 259;
(16) "მამა ჯოზეფოს ღვისნიერებამ აღაფრთოვანა ის ბარბაროსები - დადიანისა და როსტომ ხანის ორ-ორი დესპანი ასზე მეტკაციანი ჯგუფით"; ფ. 248.
==========

ამრიგად, ნათელია, რომ ცენტრი უნდა აღიჭურვოს ისტორიული წყაროების **"ადაპტაციის"** უფლებით, რათა ისტორიული წყაროების ციტირებისას არ მოახდინოს "უხერხული"ციტატების ციტირება:

1) "მოწესრიგებული ეკლესიის უნახავი ბარბაროსები";
2) "უმეთაურო და უმუხრუჭო ბარბაროსები";
3) "ჩვენს მიერ მონათლულ ბავშვებს მშობლები ცოცხლად მარხავდნენ";
4) მეფემ "თავისი ურჯულო ფეხებით გათელა პაპის გერბით მორთული სამღვდლო სამოსელი";
5) ოდიშის მთავარმა "დას რამდენჯერმე შემოსცხო ჯოხი";
6) "მამა ჯოზეფოს ღვისნიერებამ აღაფრთოვანა ის ბარბაროსები";
7) "ამაში მხეცებსაც კი აჯობეს - მხეცი ხომ საკუთარ ნაშიერს არასდროს აწამებს"; - და ასე შემდეგ.

საკანონმდებლო წინადადების მიღება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად, და ასეთი შემთხვევები, როდესაც არკანჯელო ლამბერტის თხზულებიდან მითითებული ნაწყვეტი შეცვლილია და არ შეესაბამება ტექსტის დედანს, გახდება კანონით გათვალისწინებული, ვალიდური მანიპულაცია, აბიტურიენტებისთვის წარდგენილი ტესტები აღარ იქნება ისტორიული წყაროების ზუსტ ტექსტებს მისადაგებული, ცენტრი მოახდენს ისტორიული და ლიტერატურული, სხვა სასწავლო დისციპლინების დედანი ტექსტების საკუთარი ნებით შეცვლას, გადაკეთებას, **"ადაპტირებას"**, რათა აბიტურიენტებმა იფიქრონ, რომ ისტორიული ან ლიტერატურული ან სხვა წყარო ისეთივე ტექსტს შეიცავს, როგორც ეს საგამოცდო ტესტშია მოცემული.

საკანონმდებლო წინადადების პირობებში, აბიტურიენტებს ეცოდინებათ, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათ ორიგინალი ტექსტებით კი არა, არამედ - მავანთ მიერ "ადაპტირებული" ტექსტებით გამოცდიან, ანუ - აღარ იქნება საჭირო ისტორიული წყაროების ზუსტი ციტირება, რაც შეიძლება ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკის, მათემატიკის და სხვა დისციპლინებშიც გახდება შესაძლებელი, თუ ცენტრი ჩათვლის, რომ სატესტო დავალების ტექსტში უნდა მოხდეს "ადაპტაცია". საბოლოოდ, "შვლის ნუკრის ნაამბობიდან" ამოღებული იქნას "უხერხული" სცენები, მაგალითად, "შეჩვენებული მონადირის" მიერ ჩადენილი ქმედება.

დამატებით, გთავაზობთ, რომ ამავე საკანონმდებლო აქტში შევიდეს ცვლილება, რომელიც ცალსახად დაადგენს, რომ შეფასების სქემა, ანუ - ცენტრის მიერ, ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამისა და შეფასების ზოგადი კრიტერიუმების შესაბამისად, გამსწორებლისთვის და საპრეტენზიო კომისიისთვის შედგენილი დოკუმენტი, არ შეიძლება შეიცავდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

პატივისცემით,

ზურაბ ვანიშვილი

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მინდელის ქუჩა №9
0186 თბილისი, საქართველო
+995 32 247 33 33
info@naec.ge

05/06/2025

[redacted]

განმცხადებელ ზურაბ ვანიშვილს

ტელ.: [redacted]
ელ.ფოსტა: [redacted]

ბატონო ზურაბ,

სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში (შემდგომ - ცენტრი) წარმოდგენილია თქვენი განცხადებები, რომლებიც შეეხება 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ორგანიზებულ ისტორიის გამოცდასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, 2025 წლის 29 მაისს წარმოდგენილ № [redacted] განცხადებაში *(ცენტრში რეგისტრაციის ნომერი -* [redacted]*)* მიუთითებთ, რომ 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ორგანიზებული ისტორიის საგამოცდო ტესტის (მე-2 ვარიანტი) 38-ე ტესტური დავალების შექმნისას ცენტრმა გამოიყენა ლიტერატურული წყარო, ხოლო 2025 წლის 3 ივნისს წარმოდგენილ № [redacted] განცხადებაში *(ცენტრში რეგისტრაციის ნომრები -* [redacted] *)* აღნიშნავთ, რომ ზემოხსენებულ დავალებაში არკანჯელო ლამბერტის თხზულებიდან მითითებული ნაწყვეტი შეცვლილია და არ შეესაბამება ტექსტის დედანს. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

არკანჯელო ლამბერტის ნაშრომი „წმინდა კოლხეთი“ წარმოადგენს ისტორიულ წყაროს, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის I ნახევრის საქართველოს სამეფო-სამთავროებისა და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურის ისტორიის შესახებ. შესაბამისად, ისტორიოგრაფიაში არკანჯელო ლამბერტის აღნიშნული ნაშრომი ისტორიულ წყაროდაა აღიარებული.

აქვე განგიმარტავთ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტის დავალებების შექმნისას გარკვეულ შემთხვევებში ხდება ისტორიული წყაროს ტექსტის ადაპტაცია აბიტურიენტებისათვის წყაროს გააზრებისა და ანალიზის უნარების შემოწმების მიზნით.

პატივისცემით,

სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
დირექტორი
წერეთელი ნინო